

სამედიცინო

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი

გამომდის 1957 წლიდან

№6 (255) ივნისი, 2012 წ. www.tsmu.edu



საოჯახო გამოცემა

„სამედიცინო გაზეთის“ 55-ე წლისთავის აღსანიშნავად ნარსულის პატივისცემით, ანგელოზა ზრუნვით, ნარმატაჟული მომავლისთვის



55 წელია „სამედიცინო გაზეთის“ დაქვემდებარებული აქვს მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. გაზეთთან ურთიერთობის 38 წელი მაკავშირებს. სტუდენტური წლების შემდგომში – პედაგოგიური, სამედიცინო თუ საექიმო საქმიანობის კონტექსტში, ხშირად მიწვევა და მიწვევის ურთიერთობა გაზეთთან, მის რედაქციასთან.

იგი, ისევე მშობლიურია ჩემთვის, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტი.
„სამედიცინო გაზეთმა“ ბევრი რამ შემოგვინახა ჩვენი წარმატებების თუ პრობლემების, ტრადიციების შესახებ. იგი ჩვენი საქმიანობის გზამკვლევაა აწმყოსა და მომავალში.
გაზეთისთვის თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ მის შემოქმედთა ახარებით სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები, „უდანაკარგოდ“ აღწერენ თითოეულ ფაქტსა და მოვლენას უნივერსიტეტის ცხოვრებიდან, მოგვითხრობენ ადამიანებზე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და დღესაც ქმნიან ჩვენი ქვეყნის მედიცინას, რომელთა ტრადიციებზე აღიზარდნენ და მომავალშიც აღიზარდებიან ქართველ მედიკოსთა და ფარმაცევტთა თაობები.
მაღლობა მათ ამისთვის!
ეულთავე სამედიცინო უნივერსიტეტს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, რედაქციის თანამშრომლებს „სამედიცინო გაზეთის“ საიუბილეო თარიღს!
გისურვებთ წარმატებებს სამომავლო საქმიანობაში!

**პროფესორი
ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

უნივერსიტეტის ანგელოზი ნაწილი



55 წელი საკმაოდ მონივრული და სერიოზული ასაკია. მკითხველი იფიქრებს, რომ ადამიანის ასაკს ვგულისხმობ. არც უმაგისობაა, მაგრამ ამჯერად მხედველობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთი“ მაქვს.
„სამედიცინო გაზეთი“ დროის გავლენას არ ემორჩილება; მაღელ 40 წელი გახდება, რაც გაზეთთან არათუ ვთანამშრომლობ, არამედ ვმეგობრობ კიდევ. სტუდენტობის პერიოდთან დღემდე ჩემი ბევრი შთაბეჭდილება, მოგონება თუ მოსახრება გაზეთის ფურცლებზე აღბეჭდილია. ჩემი მეგობრები

და მე, შეიძლება ითქვას, გაზეთთან ერთად ვიზრდებოდი, ვსწავლობდი. მთავარი კი ისაა, რომ გაზეთი ყოველთვის, ყველა ეტაპზე საინტერესო ტრიბუნა იყო ჩემთვის და ასეა დღესაც. ვფიქრობ, ამას გაზეთის შემოქმედი კოლექტივის გამოცდილება, კვალიფიკაცია და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი საქმის და სამედიცინო უნივერსიტეტის სიყვარული და ერთგულება განაპირობებს. ამ თვისებების და დამოკიდებულების გარეშე ხანგრძლივი წარმატების მოპოვება შეუძლებელია!
გულწრფელად ვულოცავ „სამედიცინო გაზეთს“ 55 წლის იუბილეს! ვუსურვებ, კიდევ დიდხანს იყოს ქართული მედიცინის და სამედიცინო უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილი და მისი ისტორიის აღმწერი!
მე, როგორც უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი ქომაგი, მზად ვარ ვიყო გაზეთის წარმატებული განვითარების მონაწილე.

**ზურაბ ორჯონიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი**

პროფესორი, კითხვისმსურველი ახლობელი...



ფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში სხვადასხვა ეტაპზე გარემოებები თუ ადამიანები გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას იძენენ. შესაძლოა, იმთავითვე სიმბოლოებს ისინი არც წარმოადგენენ – არსებობენ და ვითარდებიან თვითკმარად და დამოუკიდებლად, მაგრამ მოცემულ მომენტში ადამიანები შეიძლება ისეთ ემოციას გამოეხმეაურონ, რომ ხანგრძლივად აღიბეჭდოს ცნობიერებაში. როგორც წესი, ასეთი „სიმბოლოები“ ჩვენს პარალელურად და ჩვენთან ერთად აგრძელებენ ცხოვრებას და ხშირად თვითონაც სარკესავით ავირეკლებით მათში.
ჩემთვის, პირადად, ერთ-ერთი ასეთი „სიმბოლო“, რომელიც 30 წლის წინ გავიცანი და დღესაც ვურთიერთობ მასთან, ჩვენი უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთია“.
კარგად მახსოვს ის გულწრფელი სიხარული და სიამაყე, როდესაც ჩემი – ერთ-ერთი პირველკურსელის – შთაბეჭდილებები გაზეთში გაქურდა. სხვათა შორის, ახლახან თვალს გადავავლე ჩემს პირველ წერილებს და გამიხარდა, რომ მაშინდელ აზრთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე დღესაც მოვანერდი ხელს. ისიც ვიცი, რომ ასე გაზეთის ბევრი მაშინდელი და ახლანდელი რესპოდენტი თვლის. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „სამედიცინო გაზეთი“ ადრეც და ახლაც ადამიან-

თა მიერ მათი შეხედულებების, განსჯის, ტკივილისა თუ სიხარულის პირუთენელი ამსახველია. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა იმ საზოგადოების მემკვიდრის როლის შესრულება, რომელსაც იგი ემსახურება. ეს საზოგადოება რთული, მაღალორგანიზებული და, ამავდროულად, პროგრესული ორგანიზაციაა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქვია.
„სამედიცინო გაზეთი“, როგორც ერთგული და კეთილისმსურველი ახლობელი, ცდილობდა და ცდილობს გამოეხმეაუროს ჩვენი დიდი ოჯახის ყველა წარმატებას, სიხარულსა და სატკივარს; იგი ხვდება და გზას ულოცავს ოჯახის ახალ წევრებს, ღირსეულად აცდილებს და ემშვიდობება წასულეებს... დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება.
შეგრძნება მაქვს, რომ „სამედიცინო გაზეთი“ ბეჭდვითი ორგანო კი არაა, ჩვენი თანამშრომელია; მას შეიძლება მიმართო, რამე ჰკითხო, აზრი გაუხიარო... ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომაცაა ასე, რომ გაზეთს უკვე 30 წელიწადზე მეტია ქმნის თანამოაზრეთა ჯგუფი ქალბატონი დალი გაბეშიას ხელმძღვანელობით.
ჩვენი „სამედიცინო გაზეთის“ მთელ კოლექტივს, მის ყველა გულშემატკივარს, თითოეულ რესპოდენტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეულ წევრს ვულოცავთ გაზეთის 55 წლის იუბილეს!
გულწრფელად ვუსურვებ თითოეულ მათგანს დიდხანს ყოფილიყვნენ ქართული მედიცინის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ქართული უნივერსიტეტის სამსახურში!

**პროფესორი
ირინე კვაჭაძე,
ფიზიოლოგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი**

უნივერსიტეტი
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ გილოცავთ დაარსებიდან 55-ე წლისთავს!

გვინდა გისურვოთ წარმატება, აკადემიური თავისუფლება და ღირსეული შემოქმედებითი საქმიანობა სამედიცინო განათლების თანამედროვე ისტორიის შესაქმნელად!
მოსარული ვიქნებით, ვიდგეთ თქვენთან ერთად იმ საქმეში, რასაც ჰქვია სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლების უფლებათა დაცვა, მათი წარმატებების სამზერზე გამოვლენა, მეცნიერული წინსვლის აღსუსხვა და მომავალი თაობებისთვის იმ საქმიანობის გადაცემა, რასაც გასული წლების განმავლობაში ახორციელებდით უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად.
იმედს გამოვთქვამთ, მომავალი 50 წელი მეტი წარმატების მომტანი იქნება თქვენთვის და მოლიანად სამედიცინო უნივერსიტეტისთვის.

**პატივისცემით
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ რედაქცია**

**„სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორი
დალი ბაბაშია
ტ.: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27**

**დარეკვან კომპაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო გოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com**

ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას გისურვებთ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მემკვიდრე – „სამედიცინო გაზეთს“ – 55 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში მომხდარი სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კატაკლიზმის მიუხედავად, გაზეთს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია არსებობა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც სრულად არ ასახულიყო მის საგაზეთო გვერდებზე: სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობა, კლინიკური მიღწევები, სტუდენტური ცხოვრება, სამედიცინო ისტორიული ნარკვევები თუ პუბლიცისტიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება. შინაარსობრივმა მრავალფეროვნებამ გაზეთი საკმაოდ პოპულარული გახადა როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე, სტუდენტებს შორის. ყოველივე ამის უკან დგას „სამედიცინო გაზეთის“ შემოქმედთა ყოველდღიური დაუღალავი შრომა, საქმისადმი დიდი და უანგარო ერთგულება. თსსუ-ს შეუძლია იამაყოს მის კედლებში და-



ფუძნებული და აქტიურად მოღვაწე „სამედიცინო გაზეთით“.
„სამედიცინო გაზეთის“ რედაქციას, თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტობას ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. გაზეთის ყველა მესვეურს ვუსურვებ აქტიურ, მრავალმხრივ და ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას.

მედიცინის განვითარება...



ელვისებური სისწრაფით გარბის დრო. ცხოვრების რიტმის პროგრესირებადი აჩქარება და დაძაბულობა, მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, საერთაშორისო პოლიტიკური კატაკლიზმები, უახლესი ტექნოლოგიების განვითარება, ნანოტექნოლოგიების ზრდადი და, პრაქტიკულად, განუახლებელი შესაძლებლობები, – ყოველივე ეს არსებითად ტრანსფორმირებს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ცხოვრების წესსა და ხარისხს. დღეს ხშირად შენიშნავთ აჩქარებული ტემპით მოძრაობას, „მოზრბენალი სტრუქტურის“ მსგავსად „სხაპასხუპით“ მოსაუბრე ადამიანებს – ოჯახში, ქუჩაში, ტრანსპორტში, სამსახურში, საზოგადოებრივი თავშესაფრის კერებში. საუბრობენ განუწყვეტლად, უხვი შესტიკულირებით, რომელიც, არაშეიანთად, სრულიად არ შეესაბამება საუბრის შინაარსს (მეტოც, ხშირად არაფრის გამოხსატველია): ჩქარობს ყველა, ყოველთვის და ყველგან. ამკარად იგრძნობა ფსიქოლოგიურ-ემოციური დაძაბულობა.

ამ უჩვეულოდ აჩქარებული რიტმის, დაძაბულობისა და შექმნილი დამთრგუნველი გარემოს განზიანებებისა და განტვირთვის ბერკეტებს შორის საზოგადოებრივი მათემატიკური და პრეტენსიული ქმედება უაღრესად მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს და ექვგარეუეა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ ფურნალისტის ეკისრება.

რაც უნდა საკმაოდ იყოს მიჩნეული, ჩემთვის მინც უდავოა, რომ ფურნალისტის პროფესია სრულიად გამორჩეული რუდუნებით ინარჩუნებს და უფროსილდება ქეკუთხედეურ ეროვნულ ღირებულებებს და, ამავდროულად, განუზრუნავ ხელს უწყობს პროგრესული მოვლენების გონივრულ განხილვებს და, საჭიროებისას, მათ გზამკვლევად გვევლინება. ამგვარი მოქნილი ქმედებით ფურნალისტი კაცობრიობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობებს, აფრთხილებს, რათა გადაღვივებისათვის სწორი და საყოველთაოდ სასარგებლო ცხოვრების წესისკენ სწრაფვას. შემთხვევითია განა, რომ ყოველ ავტორიტეტულ საჯარო, საუწყებო, არაკომერციულ და კერძო დაწესებულებასა თუ კომპანიაში უსათუოდ გააჩნია საკუთარი გამოქვეყნების სხვადასხვა სახის სტრუქტურა.

როდესაც ერთსა და იმავე საკითხს აშუქებს სხვადასხვა ფურნალისტი, მაშინ განსაკუთრებული ძალით გამოსჭვავის თითოეული მათგანის ყველაზე ძვირფასი თვისება – ინდივიდუალობა, სიხალისე, სიყვარული საკუთარი პროფესიისადმი.

ბავშვობიდან დამწყვა კალმის სიყვარული, ესესე თუ ნარკვევების წერისკენ ლტოლვა, თუმცა პროფესიას მანძი სხვა ავირჩიე და მედიცინას მიუძღვენი ჩემი ცხოვრების უკანასკნელი 55 წელი. ცხოვრების დაღმართს მიღწეულს, ორი სასწაულებრივი თარიღის თანხვედრის ბედნიერება მხედდა ნილად: ჩემი მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლის იუბილედ დაემთხვა ჩემი დაბადებიდან 80 წლისთავს, ამჟამად კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო განვითარების“ 55 წლის იუბილედ თანხვდა ამ დიდებული ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის კედლებში ჩემი საქმიანობის 55 წლისთავს.

როდესაც კალამს ხელი მოვიკიდე „სამედიცინო განვითარების“ კოლექტივისთვის ამ მნიშვნელოვანი თარიღის მისალოცად, უნებლიედ კვლავ გადავხედე ჩემს, შესაძლოა პირად, თუმცა ალბათ ბევრი დამეთანხმება, სამართლიან შეხედულებას, ამ კეთილშობილური საქმიანობის სრულიად მიუკერძოებელი შეფასების თვალსაზრისით.

დაიხ, ფურნალისტისთვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესია მისი მოქნილი ენა და თანდაყოლილი „მეტყველად“ წერის ნიჭი, გულწრფე-

ლობა, რწმენა საკუთარი თავის და საქმისადმი და, რაც მთავარია, ობიექტურობა. რარიგ მოსაფრთხილებელია ეს ხასხასა, „თვალმოჭრელი“ წერიტი „მჭევრმეტყველების“ ნიჭი. არა, ეს ლიტონი სიტყვები არ გახლავთ: მეტად ფაქიზ მოფრთხილებას საჭიროებს ამ კეთილშობილი პროფესიის კოჰორტა.

ფურნალისტისთვის განსაკუთრებით რთულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ მიავლიოს იმ იმეით „ოქროს ნინკლებს“, რომელნიც შემდგომ უძვირფასეს ლითონად გარდაიქმნიან. ამავდროულად, მას დიდი ლაგირება მართებს, რათა მკითხველს თავს არ მოახვიოს მხოლოდ საკუთარი ხედვა – ის, რაც ინტუიციურად, მხოლოდ ნამებში იბადება. ამასთან, რესპოდენტიც არ უნდა ცდილობდეს აიძულოს ფურნალისტი სრულად აითვისოს და გაითავისოს მისეული და მიღებული ინფორმაცია სკრუპულოზური სიზუსტით ასახოს. ეს მეტად მავნე ქმედებაა. ფურნალისტისკამი ორჯერ ორი ყოველთვის არ უდრის ოთხს. სწორედ ამასში მდგომარეობს ფურნალისტური გადაწყვეტილების თავისებურება, აზროვნების და აზრის წარმართვა; მნიშვნელოვანია ფურნალისტური თხრობის სიმარტივე, შთაბეჭქდავი, დასამახსოვრებელი მაგალითების მოყვანის უნარი. განმარტება უნდა ატარებდეს კონკრეტულ ხასიათს და უნარი გააჩნდეს შეალოს „კარიბჭე“ საჭირო მდგომარეობაში შესასვლელად.

ამავდროულად, როცა ფურნალისტი შემოქმედებითად კამათობს და იცავს საკუთარ პოზიციას, ზოგჯერ, არცთუ ბოლომდე სწორს – კამათი, ძიება აღვივებს მის შემოქმედებით ფანტაზიას.

ესთეტიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნიჭი – ეს არსებული სინამდვილის ხატოვანი წარმოდგენის უნარია. რა თქმა უნდა, მხოლოდ ინტუიციითა და საკუთარი ფანტაზიით ფურნალისტისკამი დიდი სიმაღლეებს ვერ მიადგენს, საჭიროა ღრმა აზროვნების უნარი.

სრული უპასუხისმგებლობით და თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი განვითარების ფურნალისტა გუნდის იმეითა სიძლიერე გამოიხატება უდიდესი დიპაზონის აზროვნებაში, ინტელექტური ინდივიდუალობაში, რაც ყოველთვის აისახება თითოეული მათგანის ნააზრევში.

უდავოა, რომ ამ დაუღალავი და მწყობრი შემოქმედების წარმატებულ მოღვაწეობაში ფასდაუდებელია „სამედიცინო განვითარების“ რედაქტორის, ქ-ნი **დალი გაბუნიას** პროფესიული, მოქალაქეობრივი და პიროვნული ადამიანური მახასიათებლები: ყოველთვის უაღრესად მობილიზებულს, ქვეყნის თუ უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების სიღრმისეულ ნიუანსებში ღრმად ჩახედულს, მას იმეითი ნიჭიერებით ძალუძს დაკისრებული, მეტად საპასუხისმგებლო საქმის ობიექტური აღქმა და, შესაბამისად, „დამდგმელი რეჟისორისა“ თუ „დირიჟორის“ როლების პარამონიული შერწყმა-შესრულება. ქალბატონი დალის მიერ გამოქვეყნებული მონიხავე სტატები, ინტერვიუები სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, გამოიჩინა ღრმა შინაარსით და პრობლემის სიმკვავის თუ აქტუალობის ნათლად წარმოჩენით.

„სამედიცინო განვითარების“ სარედაქციო გუნდის მრავალწლიან დაუღალავ შრომასა და ქემარტივად დასახურებულ წარმატებაში განუზომებელია განვითარების ფურნალისტთა – დღევანდური მადლით დაჯილდოებული სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს. ყურადღებას იქცევს თითოეული მათგანის ინდივიდუალური ხედვა თუ ხელწერის სტილი:

ქალბატონი **დარეჯან კომლაძე** გამოიჩინა თხრობის მისეული მანერით – მსოფლიოსა და საქართველოში სამედიცინო სამყაროს სამედიცინო-კვლევითი დარგის მოღვაწეთა ფუნდამენტური მიღწევების აღ-

წერისას, ახალგაზრდა კადრების რთულ ლაბირინთებში, მეგზურის მსგავსად, საინტერესო ინფორმაციის გადმოცემისას, საუნივერსიტეტო კულტურული ცხოვრების მრავალფეროვანი ასპექტების გაშუქებისას – მოყვანილი ფაქტების დიწვი და ფრიად სერიოზული გაანალიზების საფუძველზე.

ქალბატონი **მანანა ფხალაძისთვის** განსაკუთრებით დამახასიათებელია ლირიკული ნიუანსებით გაჯერებული, თხრობის შესანიშნავი ლექსიკით „შემოსილი“ თანამედროვე კლინიკური მედიცინის მიმართულებების მიღწევების სკრუპულოზური გაშუქება. არაჩვეულებრივად თბილი ელფერიტაა გაჯერებული მისი გულის სიღრმეში ჩამწვდომი ნოველები და ლიტერატურული ესკიზები, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ახალგაზრდა თაობაში ეროვნული ღირსების გრძნობის განმტკიცებისთვის, მათი მორალური და ზნეობრივ-სულიერი ფორმირებისა და განვითარებისთვის.

ქალბატონი **ნატო ბოლქვაძე** ღრმა ანალიტიკური ნიჭითაა მადლობისილი, რაც კარგად ჩანს მისი სხვადასხვა ჟანრის საგაზეთო წერილსა თუ პუბლიკაციაში. გამორჩეულია მისი ხელწერა მედიცინის თვალსაზრისით წარმომადგენლებსა თუ კულტურის გამორჩეულ მოღვაწეებთან ინტერვიუების დროს. იმეითი რომანტიკული ჟღერადობით გამოიჩინა მისი პოეტური ჩანახატები, ზოგჯერ – თითქოს სვედიანი, თუმცა მომავლის კეთილი იმედით გამსჭვალული. და როდესაც ეცნობი ამ სამი უნიჭიერესი ფურნალისტის ცალკეულ სტატებს ან ერთობლივ წერილს სხვადასხვა თემაზე, მთლიანობაში რჩება შთაბეჭქდილება, რომ მოისმინეთ მძლავრი, ამავდროველი ლიტერატურული სიმფონია.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ „სამედიცინო განვითარების“ სისტემატურად და განსაკუთრებული აქცენტების განაწილებით სრულად ასახავს სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭორიას** და მთელი ადმინისტრაციული აპარატის დაუღალავ შრომას და მიზანმიმართულ საქმიანობას მედიცინის წინსვლის და ახალი თაობის მედიკოსთა ღირსეული აღზრდის თვალსაზრისით; განხორციელდა სისტემატურად ქვეყნდება უნივერსიტეტის გამორჩენილი და ღვაწლმოსილი მოღვაწეების საიუბილეო თარიღების ამსახველი წერილები, ადგილი ეთმობა სტუდენტურ გვერდს, სადაც შუქდება სტუდენტური თვითმმართველობის გუნდის საქმიანობა და, ზოგადად, სტუდენტური ცხოვრება. ასევე, წარმოჩინდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სამედიცინო თუ შემოქმედებითი საქმიანობა და მიღწევები, ხშირად ქვეყნდება როგორც მათი, ასევე – სტუდენტების ლიტერატურული ესკიზები თუ ლექსები.

ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია პერიოდული თანამშრომლობა ჩვენს მშობლიურ განვითარებას. დღეს, როდესაც მოვეხსნარი ამ ორ ღრმსესიღნავე – ჩვენი „ალმა მატერის“ 80 და „სამედიცინო განვითარების“ 55 წლისთავის საიუბილეო თარიღებს – გაორმაგებული ძალით ვგრძნობ და ვხედავ ჩვენი უნივერსიტეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპს – მის წარსულს, ამწყოსა და მომავლს და ღრმად მწამს, რომ მნიშვნელოვანწილია განვითარების ფურნალისტურმა გუნდმა შეუნყო ხელი ჩვენი მეორე ოჯახის, სამედიცინო უნივერსიტეტის, განუზრელ წინსვლას, რადგან ფურნალისტებისთვის მათი ნაღვანი არც გართობაა და არც მხოლოდ პროფესიული მოვალეობის გულცივი აღსრულება – ეს მათი ცხოვრების ნაწილია, ცხოვრების გაგრძელება, აზრი და სულიერი არსებობის უშრეტე წყარო.

გულწრფელად გილოცავთ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო და უზომოდ პატივსაცემო ადამიანებო, ამ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს! წარმატებებს, მარადიულ მხნეობას და ახალი ფურნალისტური სიმაღლეების დაპყრობას გისურვებთ: „ტრადიციებით – მომავლისკენ!“

თქვენი ვაღმე საბაკაძე

შემაჯავრობით აღაფრინას ბისუკვებით!



„სამედიცინო განვითარების“ რედაქციის შემოქმედებით კოლექტივს – ქალბატონებს: **დალი გაბუნიას, მანანა ფხალაძეს, დარეჯან კომლაძეს, ნატო ბოლქვაძეს** და, ასევე, ჩვენს ალმა-მატერს – **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს** – ღირსშესანიშნავ თარიღს – განვითარების საიუბილეო – **55 წლისთავს** ვულოცავ!

ჩვენს ინსტიტუტში თავის დროზე განვითარების დაარსება დიდი მოვლენა იყო. მან წლების განმავლობაში ფრთები ფართოდ გაშალა და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ ბოლო წლებში რედაქციის კოლექტივის საქმიანობა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევით და სამკურნალო საქმის წინსვლას – ასახავს რა უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს და მათ ცხოვრებაში გატარების მსვლელობას, ამით კი უფრო თვალსაჩინო ხდება უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის წარმატებული რეორგანიზაცია; ამასთან, მხედველობის მიღმა არ რჩება

ახალგაზრდობის – სტუდენტობის მრავალფეროვანი ცხოვრება, მათი ინტერესები, საქმიანობა, სასწავლო პროცესი... ერთი სიტყვით, განვითარების მნიშვნელოვანდ უწყობს ხელს კვალიფიციური და მაღალი ზნეობის ექიმი-სპეციალისტების ჩამოყალიბებას. აღნიშვნის ღირსია განვითარების ბრიკების სიხვე, რაც საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მრავალფეროვანი საქმიანობა, დიდი ტრადიციები.

განვითარების რედაქტორის – ქალბატონი **დალი გაბუნიას** – ხელმძღვანელობით „სამედიცინო განვითარების“ შეცვალა არა მარტო დიხანი, არამედ თვისობრივად განსხვავებულიც გახდა, რითაც კიდევ უფრო ამღვლდა განვითარების რენომე. ამიტომაცაა, რომ მკითხველი დიდი ინტერესით ელოდება ყოველ ახალ ნომერს.

დიდი მადლობა განვითარების რედაქციას საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობისთვის. გისურვებთ მრავალფეროვან და პროფესიულ და პირად ცხოვრებაში.

ვაჟა გვანცელაძე, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სტუდენტური წლები „თანამშრომლობის“



1966 წელი იყო, როდესაც განვითარების „მედიცინის მუშაკის“ კარი პირველად შევაღვე. მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, ახლანდელი უნივერსიტეტის, რექტორატი ვერაზე, ფილარმონიის პირდაპირ მდებარე ლამაზ, ძველ შენობაში იყო განთავსებული, სადაც ახლა ისტორიის ინსტიტუტია.

პირველკურსელი ვიყავი და მანქანურებსედა, როგორ იქმნებოდა განვითარების, მინდოდა კორესპოდენტების გაცნობა, მათი მუშაობის თავისებურებათა შესწავლა, მსურდა თავი მწერლობასა და ფურნალისტობაში გამოიმეცადა.

ინსტიტუტის განვითარების რედაქციას ერთი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი რექტორატის შენობის მესამე სართულზე. ღიმილით შემეგებნენ რედაქტორი, ქალბატონი **მერი შველიძე**, რედაქციის თანამშრომლები **ნუნუ კაკუშაძე** და **რაულ ბაბუნაშვილი**. უეცრად თავი შინაურ გარემოში ვიგრძენი. მალე გავცანი რედაქციის საქმიანობას და უფროსკურსელებს, სტუდენტურ-კორესპოდენტებს, რომელთაც კალამი საკმაოდ კარგად უჭრიდათ.

დიდ ყურადღებას აქცევდა განვითარების მუშაობას რექტორი, ბატონი **პეტრე გელბახანი**, თუმცა განვითარების არც დღეს აკლია ხელმძღვანელობის ყურადღება. არასდროს დამავინყვებდა ინსტიტუტის ფოტოგრაფი და განვითარების ფოტოკორესპოდენტი **ვიტალი დვალი**, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი, დილიდან საღამომდე, მექალაქის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, დაჰყვებოდა სტუდენტებს ექსკურსიებზე, ესწრებოდა სხვადასხვა საინსტიტუტო თორბისძიებას. რამდენიმე თაობის თითქმის ყველა ექიმი მის მიერ გადაღებული ფოტოსურათებით იხსენებს სტუდენტობის ადრეულ წლებს.

განვითარების კვირაში ერთხელ გამოდიოდა. მასთან სისტემატურად თანამშრომლობდნენ ლექტორებიც, მათ სიხარულით მოჰქონდათ წერილები, რომლებიც კათედრების საქმიანობას ეხებოდა.

განვითარების აქტიურად თანამშრომლობდა დოცენტი **გივი ხვედელიძე**, რომელიც ზოგჯერ რედაქტორის მოვალეობასაც კი ასრულებდა; ჩემთვის დაუვიწყარია ნაადრევად გარდაცვლილი, ექიმი-პოეტი **ბიძინა მინდაძე**, რომელიც ყოველთვის სასარგებლო რჩევებს აძლევდა მომავალ თაობას. სხვას არავის დავასახელებ, არ მინდა ვინმე გამომჩინეს ვინც განვითარებაში ალაზაზებდა ინსტიტუტის ცხოვრებას.

ვულოცავ უნივერსიტეტის განვითარების რედაქციას (რომელსაც ახლა „სამედიცინო განვითარების“ ვულოცავ ყველა თანამშრომელს და განსაკუთრებით სტუდენტებს განვითარების საიუბილეო თარიღს.

ჩემი დიდი სურვილია, რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა განვითარების თითოეული ნომერის მომზადებაში, რადგან დღევანდელი რედაქციის თანამშრომელთა გუნდი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა. თავისთავად, უნივერსიტეტის მრავალი სტუდენტია ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული; მათ მიერ მოწოდებული მასალა – უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი წერილები, ლექსებისა თუ პროზაული ნაწარმოებების სახით, კიდევ უფრო შთაბეჭქდავს განხდის განვითარებას, ხოლო თავად მათ ცხოვრებას მეტ სიხარულს მიანიჭებს. ასაკში შესულნი კი გადაამლიან სიძველისაგან გაყვითლებული განვითარების ფურცლებს და შთამომავლობას სიამაყით გააცნობენ თავიანთ ადრეულ, სტუდენტური წლების ცხოვრებას თუ ლამაზ შემოქმედებით საქმიანობას.

„სამედიცინო განვითარების“ (მაშინ „მედიცინის მუშაკი“) ჩემი სტუდენტური წლების ლამაზი მოგონება და ამჟამინდელი შემოქმედებითი უნარის ერთგვარი სარბიელია.

მადლობა თქვენ, განვითარების შემოქმედნი, ჰუმანურობისა და მეგობრობისთვის!

თაიშურა ჰატირაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ისევ „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველი ვარ...



„სამედიცინო გაზეთი“ იმაზე მეტს ნიშნავს ჩემთვის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს „მნიშვნელობა“ ძირითადად ემოციური, უფრო ხშირად სიხარულის აღმძვრელი, იშვიათად – სევდიანი ღიმილის მომგვრელი.

ჩემს არქივში „სამედიცინო გაზეთის“ რამდენიმე ათეული ნომერია, რომელშიც ან ჩემზე დაიწერა, ან მე თვითონ ვწერდი ჩემთვის ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანებისა თუ რამე საჭირობო საკითხის თაობაზე.

1975 წლის სექტემბრის ნომერი მაქვს, რომელიც ადასტურებს, რომ მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვარ... მასსოვს ბებია და ბაბუა ძალიან ამყარებდა ჩარიცხულთა სის პირველ ათეულში რომ ვიყავი...

„სამედიცინო გაზეთი“ ამცნო ინსტიტუტის საზოგადოებას, რომ სტუდენტი დიმიტრი კორძაია ხელმძღვანელობით განხორციელდა „პალესტინა, პალესტინას“ გასცენიურება, ამ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსები, პირველი რეცენზია სტუდენტური დღეების სპექტაკლებზე,

სადაც ოდიშოსისა და კრონის როლებს ვასრულებდი სოფოკლესა და ანუის ტრაგედებიდან.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე, დიდი მეცნიერისა და მოქალაქის – შალვა თოიძის ხელმძღვანელობით. ეს იყო უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში – პროფესიული და ინტელექტუალური ზრდის, საზოგადოებაში დაქვედრების, სიყვარულის ხანა. „სამედიცინო გაზეთი“ მაშინ გამოაქვეყნა ჩემი მიმართვა სტუდენტებისადმი. დღეს რომ ვუყურებ, იქნა ზედმეტად „ფილოსოფიური“ და „მხატვრული“, მაგრამ – გულწრფელი.

მასხენდება, წერილი დაეწერე დოცენტ მარგალიტა ხეჩინაშვილზე. იმ ხანად პირველად გამოიტაცა ოთარ ჩხეიძის პროზამ, მისმა სტილმა. ჩემი წერილი მისი მიზანძვით დაეწერე. წერილი დაბეჭდეს, მაგრამ რედაქციამ სრულიად „გააღმტვრატურულქართულა“. მაშინ მეწყინა, ახლა ვხვდები, თქვენ მართალი იყავით... გაზეთი ჩემი დისერტაციების დაცვასაც გამოეხმაურა, ჩემი მონოგრაფიის გამოცემასაც...

დამსახურებულ მოღვაწეთა დაფასება და პატივისცემა ხომ გაზეთის ერთ-ერთი უმთავრესი მისია გახლდათ და გახლავართ. მოხარული ვარ, რომ საშუალება მქონდა ჩემი უღრ-

მეტი პატივისცემა და სიტბო გამოეხატა ქალბატონი თამარ დეკანოზიძის, ბატონი შალვა თოიძის მიმართ, ჩავრთულიყავი სამედიცინო ტერმინთა მართლწერისადმი, სამედიცინო მეცნიერებისა და განათლების განვითარებისადმი მიძღვნილ პოლემიკაში...

დღეს აღარ ვმუშაობ სამედიცინო უნივერსიტეტში, თუმცა, ემოციურად, ისევ ვახერხებ თსსუ-ის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზეც ყოფნას. მე ისევ „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველი ვარ...

მიხარია, როდესაც ზოგჯერ, მის ფურცლებზე, ჩემი გვარიც გამოჩნდება ხოლმე, ხან როგორც რესპონდენტი, ხანაც – ავტორის...

დღეს „სამედიცინო გაზეთი“ იუბილარია!

ვულოცავ გაზეთს ღირსეულად განვლილ ცხოვრების გზის შეჯამებას, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტს და მთელ სამედიცინო საზოგადოებას – საყვარელი გაზეთის იუბილეს.

სარედაქციო კოლეგიას ვისურვებთ კიდევ ბევრი სიხარული მოგეტანოთ ადამიანებისათვის.

პროფესორი დიმიტრი კორძია,
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

გაზეთი ჩამოა სვლას!

„სამედიცინო გაზეთი“ 55 წლის გამზდარა! საკმაოდ დიდი დროა... რა აღარ მოხდა ამ წლების მანძილზე... გაზეთმა კი გაუძლო წამთა სვლას, იგი ყოველთვის სიზუსტით და სიმატილით ასახავდა ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებას – პროფესიონალიზმით გამოჩენილი ურნალისტები ყველა საჭირობო თემას მიუკერძოებლად აშუქებდნენ.

მინდა გავიხსენო უმძიმესი ხანა: 80-90-იანი წლები... ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში შეუნყვეტელი იმარათობდა მიტინგები... 9 აპრილი: ღამით მსვლელობა მთავრობის სახლისკენ, დარბევა, ჩვენი სტუდენტების თავდადება რესპუბლიკურ საავადმყოფოში... შემდეგ პუტჩი... ამ მძიმე წლებში რედაქცია ყოველთვის ინა-

რ ჩ უ ე ბ და სწორ, ეროვნულ პოზიციას. ეს არ იყო ადვილი. რედაქცია იყო ადგილი, სადაც თავისუფალი აზრისა და სიტყვის გაუმოთქმა შეიძლებოდა, რისთვისაც დაგვიკანებოდა გიბრძობა მადლობას, განსაკუთრებით გაზეთის რედაქტორს – ქალბატონ დალი გაბეშიას, შესანიშნავ ურნალისტს, უმძიმარ ადამიანს და მეგობარს! დიდი მადლობა თქვენ!

თქვენი დარეჯან კუსნიანი

მნიშვნელოვანი ნვლილი



„სამედიცინო გაზეთის“ რედაქციას და მკითხველებს!
„სამედიცინო გაზეთი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საუნივე-

რისტიტო ცხოვრებაში – თქვენი ძალისხმევით ხდება საინტერესო სტუდენტური და საუნივერსიტეტო ცხოვრების, ასევე, მრავალფეროვანი სიახლეების გაცნობა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის!

ვისურვებთ ნარმატებებს და ნაყოფიერ საქმიანობას სამედიცინო საზოგადოების სამსახურში!

გიბა სორღია,
ისსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

55 წლის გადასახედიდან



ეს გაზეთი იყო და რჩება ერთ-ერთ ნამყვან ბეჭდურ სამედიცინო სიტყვად საქართველოში – ფორმით და შინაარსით

სრულყოფილი „სამედიცინო გაზეთი“ აქვეყნებს საინტერესო ინფორმაციებს სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებიდან, ეხმაურება თანამედროვე მედიცინის სიახლეებს, ასევე, რეფორმებს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში...

მაღალპროფესიონალი ჟურნალისტები, რედაქტორის, ქალბატონ დალი გაბეშიას, ხელმძღვ-

ანელობით, გვთავაზობენ საინტერესო სტატიებს, ინტერვიუებს გამოჩენილ ქართველ მედიკოსებთან, უცხოელ ექიმებთან. გაზეთში ექსკლუზიურად ქვეყნდება სამედიცინო-პრაქტიკული ხასიათის სტატიები. მათ პირველად შემოიტანეს რუბრიკები – „იშვიათი დაავადებები“ და „დიდკურნალები“. გაზეთში დიდი ადგილი ეთმობა დათმობილი სტუდენტ-მედიკოსთა შემოქმედებას – ქვეყნდება მედიკოსი ექიმების თვალსაჩინო წარმომადგენლების ლექსები, ჩანახატები, ნოველები...

ნარმატებას და „უხვმოსავლიანობას“ ვუსურვებ გაზეთს სამომავლო გზასავალზე!

სუბა პაჭკორია,
ექიმი გასტროენტეროლოგი

ჩემი დაუპიწყარი „დროის მანქანა“

ხშირად მოგდომებით წარსულში დაბრუნება, ძველი სიხარულის, სიხალისის ან, იქნებ, უკვე გავლილი სიყვარულის განცდა? თქვენი არ ვიცი, მე კი ჩემი „დროის მანქანა“ მაქვს. ის, რაც წარსულის ნებისმიერ დროში მახსენებს და მერამდენად მახსენებს განცდილს. ეს „დროის მანქანა“ ახლა ჩემ წინაა – ძველი, ფერმეცვლილი გაზეთების დასტა. გაზეთის სახელად „მედიცინის მუშაკი“ ჰქვია, გამოცემული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ჩემს კოლეგიაში არსებული პირველი ნომერი 1985 წლის 1 სექტემბრით თარიღდება. ეს ჩემი პირველი ინტერვიუა. კითხვაზე – რაზე ვოცნებობ, კორესპოდენტს მოკრძალებით ვპასუხობ – ნაყოფიერ სტუდენტობასა და წარმატებულ საექიმო კარიერაზე.

რა დრო გასულა... 27 წლის წინ სწორედ ამ ფურცლებზე დაიბეჭდა პირველად ჩემი ლექსები, ჩანახატები, იუმორისტული სტატიები. რედაქტორის სტუდენტი მოადგილეც კი გა-

ხლდით იმ წლებში. როგორი სიამოვნებით ვიხსენებ ორ მომცრო ოთახს, სადაც გაზეთის რედაქცია იყო განთავსებული. აქ მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსი იყო, განიხილებოდა ძველი პუბლიკაციები, იგებებოდა ახალი ნომერი. ვის არ შეხვდებოდათ აქ – ცნობილ ექიმებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მწერლებს და პოეტებს... ამ ფურცლებიდან ცოცხდება ჩემი სტუდენტობის მშვიდი – 80-იანი და 90-იანი წლების ისტორია, რომელსაც ასე აღამაზებდა ჩემი შემოქმედებითი საუშუაო გაზეთში.

წლები გავიდა. სამედიცინო ინსტიტუტი ახლა სამედიცინო უნივერსიტეტად იწოდება, გაზეთსაც შეეცვალა სახელწოდება. „სამედიცინო გაზეთი“ – ასე ჰქვია ჩემს დაუპიწყარ „დროის მანქანას“ ახლა. თუმცა იგივე ის მონდომება, გემოვნება და პროფესიონალიზმი, რომელსაც გაზეთის ყველა ნომრის შექმნას ახმარებ ჩემი ძველი მეგობრები. მაშინდელი სტუ-

დენტი-კორექციონების რედაქცია იყო განთავსებული ექიმები, ზოგიც – მწერალი ან პოეტი გახდა. გაზეთის თანამშრომლები კი, ჩემი მაშინდელი უფროსი და კეთილი მრჩეველები, თანდათან სამუდამო მეგობრებად იქცნენ. დღეს „სამედიცინო გაზეთი“ იუბილარია – იგი 55 წლის გახდა. ვულოცავ რედაქციის ყველა თანამშრომელს და გაზეთის ერთგულ მკითხველს ამ დღესასწაულს. კვლავაც ნარმატებები, შემოქმედებითი გამოხვეული ულავი სიხარული იყოს თქვენი მეგზური, ჩემი მეგობრებო!

თამარ ოზბაიძე,
„ავერსის კლინიკის“ პედიატრიული სამსახურის უფროსი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ჩემი საყვარელი გაზეთი



გარდაცვალა ბებია ცოტა ხნით ადრე ბატონი ჯონდო ბაფრინდაშვილი შეგვახსენა, რომ გაზეთის დაარსებიდან 55 წელი უსრულდება და გვთხოვა, მისი გულისწინა მკითხველისთვის ვაგვიზიარებინა. ვასრულებთ (თუმცა გულ-ისტეკვილით) გაზეთის ერთგული მკითხველისა და მოჭირნახულის, ან ვარდაცვლილი ჩვენი მეგობრის თხოვნას და ვაქვეყნებთ მის მოლოცვას.

ჩემს საყვარელ გაზეთს წელს 55 წელი უსრულდება. შემთხვევით არ მინოდებია მისთვის სიტყვა – „საყვარელი“. ჩემი ცხოვრების გარკვეული პერიოდი – 1973 წლის სექტემბრიდან – 2000 წლის სექტემბრამდე, პენსიაში გასვლამდე, ძირითად საქმიანობასთან ერთად, გაზეთს უკავშირდებოდა.

გაზეთი 15 წლის „ყმანვლი“ იყო, როცა გავიცანი და დაუუკავშირდი. იმ დროიდან დანებებული, ყმანვლიურად მოგიზგივე ცეცხლი არ ჩამქრალა გამოქვეყნებულ მასალებში. არა აქვს მნიშვნელობა, ვინაა ავტორი – მედიცინის დარგის სახელგანთქმული, ამაგდარი მეცნიერი და აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებელი თუ ამ უკეთილმოტილებსი დარგის ახალგაზრდული მუშაკი, აღმზ-

რდელთა დარად, მზად რომ არიან, განუხრელად დაცვან ჰიპოკრატეს ფიცი. მეამაყება, რომ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხანი ამ დიდებულ სასწავლებელში მოღვაწეობისას, ძირითად საქმიანობასთან ერთად, ტკბილად მასხენდება გაზეთთან ურთიერთობა და ჩემი მოკრძალებული, მცირედი წვლილი გაზეთის შემოქმედებით საქმიანობაში.

დაუვიწყარ მოგონებად დარჩა გაზეთის ყოფილი რედაქტორის – მერი შველიძის – ნათელი ხსოვნა. დღესაც საოცარ სიტბოდ მესალუბრება რედაქციის იმდროინდელ თანამშრომლებთან – ნუნუ კაკუშაძესთან, რაულ ბაბუნაშვილთან, ვაჟა ხორნაშულთან – მუშაობის წლები.

სრულიად ახალგაზრდებმა დაიწყეს რედაქციაში მუშაობა დალი გაბეშიამ (მაღერედაქტორად დანიშნურებული) დღესაც რომ სახელოვნად უძღვება გაზეთს, მანანა ფხალაძემ, დარეჯან კომლაძემ, ნატო ბოლქვაძემ – უკვე ღვაწლმოსილ ურნალისტებად აღიარებულმა და გაზეთის ტრადიციების არა მარტო გამგრძელებლებმა, არამედ მისთვის ახალი შემოქმედებითი ძალით სასიცოცხლო ენერჯის მიმცემებმა და ახალ სიმალემდე აიყვანეს გაზეთი...

ბედნიერება იყო ჩემთვის ამ შესანიშნავ ადამიანებთან თანამშრომლობა. მომავალ იუბილეს ვულოცავ გაზეთის დღევანდელ შემოქმედებს, სამედიცინო უნივერსიტეტს, სტუდენტებს!

წარმატებები ბისურვებში!



„სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის ღირსეულ კოლეგებს ვულოცავ გაზეთის დაარსებიდან 55 წლისთავის საუბილო თარიღს, ვუსურვებ ეროვნულად და ურნალისტური ნიჭით დაჯილდოებულ განათლებულ კოლეგებს, კერძოდ, რედაქტორს – დალი გაბეშიას, ურნალისტებს – დარეჯან კომლაძეს, ნატო ბოლქვაძეს, მანანა ფხალაძეს – შემოქმედებით ნინსვლას და ჯანმრთელობას. კვლავ წარმატებით გავგრძელებინოთ ქართული სამედიცინო საზოგადოების მიერ მათზე დაკისრებული ფრთხილ საპასუხისმგებლო მისია და მათთვის კიდევ მრავალჯერ მიენიჭებინოთ სიამაყისა და სიამოვნების განცდა.

ვიმედოვნებ, ჩემს მოკრძალებულ განწყობას გაიზიარებს ყველა ის, ვისაც შეხება აქვს ამ გაზეთთან, შტატგარეშე კორესპოდენტების, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახით, რომლებიც, გარდა პროფესიონალიზმისა, არაორდინალური ნიჭით გამოირჩევიან და აქტიურად თანამშრომლობენ გაზეთთან.

გილოცავთ, ნინსვლას და აღმავლობას ვისურვებთ!

იოელა შინგალია,
ექიმი ნევროპათოლოგი

გარდასულ დროთა მემკვიდრე

დიდი სიხარულით ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთის“ იუბილეს!

გულოცავ სარედაქციო ჯგუფს, ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თუნდაც ერთი პუბლიკაცია მოამზადა „სამედიცინო გაზეთისათვის“ 55 წლის მანძილზე.

მეამაყება, რომ მქონდა პატივი, უნივერსიტეტში სწავლის წლებში, „სამედიცინო გაზეთთან“ მეთანამშრომლობა, აღმენერა სტუდენტური ცხოვრების ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

ჩემი პუბლიკაციები სტუდენტური თვითმმართველობის, ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის სახელით ორგანიზებულ კონფერენციებს, ტრენინგებს, სემინარებს, სამეცნიერო ხასიათის შეხვედრებს და ინოვაციურ სტუდენტურ პროექტებს შეეხებოდა.




ბრულ სარედაქციო ჯგუფთან მუშაობა... ჩემთვის დიდი პატივია, რომ წილად მხვდა ბედნიერება, მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი...

მინდა ვისურვოთ კიდევ მრავალი წლის მანძილზე აღწეროთ უნივერსიტეტის ცხოვრება... იართო ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამედიცინო კერის განვითარების კვალდაკვალ და „სამედიცინო გაზეთის“ დანახვისას მკითხველს უნივერსიტეტში გატარებული ცხოვრება, სასიამოვნო ფაქტები, წარმატებები, მიღწევები, „სამედიცინოს“ დაუვიწყარი დღეები გაახსენდეს...

თაქლა გვანცელაძე,
ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი
2008-2009 წლებში, პედიატრიის სპეციალობის მაძიებელი.

რედაქციონის ველი

1957 წელი იდგა... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობის 27 წელს ითვლიდა... სასწავლო, სამეცნიერო თუ სამკურნალო საქმიანობის აღზევებას აუცილებლად სჭირდებოდა აღნუსხვა, წარმოჩენა, გაანალიზება...



გაზეთის დამფუძნებელი გივი (გიორგი) ხვედელიძე

გივი ხვედელიძემ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის (დირექტორი, პროფესორი ირაკლი მენთეაშვილი) წინაშე დააყენა საკითხი ბექდური მედიის დაარსების შესახებ. ეს მიზნობრივი ნინადადგება აღმოჩნდა ინსტიტუტის მესვეურთათვის და გადართვა მრავალტერაფიანი გაზეთის დაფუძნების საკითხი. სახელი ოპერატიულად შეირჩა და ეწოდა „მედიცინის მუშაკი“.



პირველი რედაქტორი

ობით გამოდიოდა და მისი პირველი რედაქტორი გახლდათ იმ დროისთვის ცნობილი ჟურნალისტი გურამ სასრონაძე.

ამ პერიოდის „მედიცინის მუშაკის“ გვერდების გაცნობისას ნათელი ხდება თუ რამდენი მნიშვნელოვანი მოვლენა აღნუსხავს გაზეთის პანაინა ფურცლებს, თუმცა მაინც არასაკმარისი აღმოჩენილა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის მრავალმხრივი საქმიანობის წარმოსაჩენად არსებული ფორმები გაზეთისა და... ისევე ბატონი გივი ხვედელიძის თაოსნობით, 1958 წელს, გაზეთი ოთხგვერდიანი გამხდარა... მისი პირველი რედაქტორი, ბატონი გურამ სასრონაძე, ცენტრალურ პრესაში ინაცვლებს, ხოლო „მედიცინის მუშაკის“ რედაქტორად ინიშნება ქალბატონი მერი შველიძე, რომლის ოცნებები ხელმძღვანელობით გაზეთის 800 ნომერი გამოიცა. ისტორიას ვერავინ წაშლის. ქალბატონ მერის კომუნისტურ-კომკავშირულ ეპოქაში მუშაობა გაზეთის ხელმძღვანელობაში.

1959 წლიდან სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა პროფესორი პეტრე გელბახიანი, რომელმაც 13 წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე და მაშინაც, კომუნისტური ზეობის ხანაში, გაზეთი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა სამედიცინო ინსტიტუტის ცხოვრებაში, რაც ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული ყურადღებისა და ზრუნვის გამოვლენაზე მიანიშნებს საკუთარი პრესის მიმართ.

ჩვენ, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის დღევანდელმა შემოქმედებმა, მოვლავნობა პროფესორ კონსტანტინე ვირსალაძის რექტორობის დროს დავინწყეთ...

„ჩვენის პინაოზის დამსვენნი და უმენახველი“... „სამედიცინო გაზეთის“ 55-წლიანი ისტორიიდან

1980 წელი... შეიცვალა რედაქციის თანამშრომელთა შემადგენლობა... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სამმა კურსდამთავრებულმა - დალი გაბეშიამ, მანანა ფხალაძემ, დარეჯან კომლაძემ - თითქმის ერთდროულად შემოვალეთ „მედიცინის მუშაკის“ რედაქციის კარი. უცხო გარემო შეიძლება ერთგვარ ბარიერად აღმართულიყო ჩვენ წინაშე, მაგრამ წლების მანძილზე გაზეთში მოღვაწე, გამოზრდილი ჟურნალისტიკა ნუნუ კაკუშაძემ (რომელიც ძველებიდან ერთადერთი კორესპონდენტი იყო შემორჩენილი) და რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დოცენტმა ჯონდო გაფრინდაშვილმა, ჟურნალისტური „მეგზურობა“ გაგვინიჭეს, „დაგვაფრთხილეს და დაგვაკვლიანეს“, ამიტომაც ჩვენთვის ბარიერი არ არსებულა...

გაზეთში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ჟურნალისტები: რაულ ბაბუნაშვილი, ვაჟა ხორნაული, მანანა ტაბიძე, მალვინა მოქია, ნინო ულენტი, მზია ბუღიაშვილი, ნანი მოსიძე, ნათია ჯანელიძე, ნინო გორგაძე, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ გაზეთის ისტორიაში...

1995 წელს გაზეთში მუშაობას იწყებს თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ნატო ბოლქვაძე, რომელიც ახალი ხედვით და სათქმელით, დიდ შენაძენად იქცა გაზეთისთვის.

გაზეთი წერილობით და სტატიები როდია მარტო. რომ არა ფოტოკორესპონდენტები, მართლაც პროფესიონალები: ვიტალი დვალთი, გრიშა და საშა ტამბულაშვილები, გაზეთი ვერ შემოინახავდა ბევრ საინტერესო ფაქტს თუ მოვლენას. წლების წინ შექმნილი ფოტოარქივი დიდი სიმდიდრეა არა მხოლოდ გაზეთისთვის, არამედ უნივერსიტეტისთვის - ეს უნიკალური ფოტომათაბეა არაერთხელ იქნა გამოყენებული უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღებისა თუ სასტენდო გამოფენების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ვიტალი დვალთს ჩვენი ურთიერთობა ხანმოკლე იყო, იგი დაგვაძლავდა როგორც ერუდირებული და დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება. ბოლომდე „ჩვენი გრიშა“ შემოგვრჩა - ცოტათი დაბნეული, მაგრამ ერთგული და მოსიყვარულე პიროვნება. იგი „სტუდენტური ეზოს“ კოლორიტი იყო - არ არსებობდა სტუდენტი, მას რომ არ იცნობდა. გრიშა ბოლომდე პროფესიის ერთგული დარჩა: დღეს იგი ცნობილი ფოტორეპორტიორია რუსეთის ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე, ჩვენ კი მისი ფოტოსურათები, თითქმის ყოველდღიურად, სასიამოვნოდ გვახსენებს წარსულს.

ახალმა თანამშრომლებმა ახლებური ხედვა შემოვიტანეთ გაზეთში - შეიცვალა ჟანრობრივ-თემატური მხარე, ენა და სტილი. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა, არ ვერიდებოდით სხვადასხვა სახის რეპლიკებს და სასწავლო დარგში შესაძრევი ხარვეზების წარმოჩენას. ჩვენი ჟურნალისტური გამოკვლევები სუბორდინატორთა პოლიკლინიკური პრაქტიკის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ მოულოდნელი აღმოჩნდა მაშინდელი ხელმძღვანელობისთვის და ამ საკითხებს მიექცნა კიდევ რექტორატისა და სამედიცინო საბჭოს სხდომები. ქედს ვიხრით მაშინდელი რექტორის, პროფესორ კონსტანტინე ვირსალაძის, ხსოვნის წინაშე, რადგან, რომ არა მისი მხარდაჭერა, უფრო მეტიც, მაღლიერების გამოხატვა ჩვენ მიმართ, შესაძლოა, სხვებს საყვედურიც გამოეთქვათ... „ჟურნალისტებს მადლობა ასეთი დახმარებისთვის, გული-სხმირებისა და ერთგულებისთვის“, - გაისმა სამედიცინო საბჭოს ტრიბუნლიდან ბატონი რექტორის სიტყვები... ამ დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნების მიერ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ აუგის თქმას ვერავინ გაგვიბედავდა; „ჟურნალისტები არ ალოდინოთ, მოსვლისთანავე შემოუშვით ჩემთან“, - ასე გააფრთხილა თავისი მდივანი, ქალბატონი მარინა სხირტლაძე, ბატონმა კონსტანტინემ.

„ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუვიდოს, არ შეურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და აღიარებს“.

ილა


რექტორის, პროფესორ კ. ვირსალაძის მიერ გაზეთისადმი პატივისცემისა და დაფასების დასტურია ისიც, რომ მისი გადაწყვეტილებით, გა-

რისგან პატივისცემა და ყურადღება დაეხდებოდა... მართალია, ხანმოკლე იყო პროფესორების: ლაური მანაგაძის, ალექსანდრე (დათო) თელიას, გიო-

ეკიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, საქალაქო, რაიონულ დაწესებულებათა საქმიანობის, პრობლემების და სამედიცინო სიახლეების ასახვა. არეალი მტედ ფართო იყო, გამომდინარე აქედან, ჟურნალისტური მოღვაწეობაც - ძალზე საინტერესო. უნივერსიტეტის შიდა საქმიანობის გარდა, გაზეთში აისახებოდა რეგიონულ საკაციონარებში არსებული მდგომარეობა, რედაქციაში იმართებოდა



პირველი ნომერი



ზეთის რედაქტორი თსუ-ის რექტორატის, სამედიცინო საბჭოსა და პარტიული კომიტეტის წევრი იყო.

მაშინ გაზეთი ლინოტიპზე იწყებოდა... მეტრამაჰესთან (დამკაბადონებელი) სასწრაფოდ მისატანნი ტყეის ფირფიტებისგან ჩამოსხმული საგაზეთო, ცხელი, ციმციმა სტრიქონები ხელისგულს გვიწვავდა... „შპონი“, „შპაცი“, „შოლა“, „კორპუსი“, „პეტიტი“, „მთავრული“ - ჩვენი ლექსიკონის შემადგენელი ნაწილი და სასაუბრო ენა გახლდათ მეტრამაჰესზე ნუგზარ მიქელაშვილთან... ლინოტიპისტები: თამარა, ნათელა, ჟენია ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტრიქონების უმეცდომოდ ჩამოსხმვაში, მაგრამ „მოკირკიტი“ ჟურნალისტები შეცდომებს მაინც ვპოულობდით... ასე გაიარა რედაქციაში ჩვენი მოსვლიდან 12-მა წელმა და როგორც წინამორბედების, ისე ჩვენს დროშიც, გაზეთი სამედიცინო ინსტი-

მრგვალი მაგიდა მთიან რეგიონებში მოღვაწე კურსდამთავრებულბთან, ვანყობლით პოეზიისა და შემოქმედებით საღამოებს მრავალრიცხოვან



რედაქტორი 1958-79 წლებში

ტუტის პარტიული და კომკავშირული საქმიანობის იდეოლოგიური იარაღი იყო.

დრო მიქროდა... კვალდაკვალ მიჰყვებოდა „მედიცინის მუშაკიც“. 90-იან წლებში კომუნისტური რეჟიმის მსხვერვაში ახალი ენა შექმნა... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ენიჭება დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სტატუსი. რა თქმა უნდა, ყველა რგოლთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საუნივერსიტეტო ბექდებით ორგანოს ახლებურად, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, გარდაქმნა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის თსუ-ის მაშინდელ რექტორს, პროფესორ რამაზ ხეცურაიანს და პრორექტორს იდეოლოგიურ დარგში, პროფესორ დავით გვეგიშვილს.



ამ იზაქაბოდა გაზეთი


1992 წელი... ახალი დრო და სხვა განზომილება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ასეა სამედიცინო უნივერსიტეტშიც... ცვლილება ყველგან, ცვლილება მოხდა „მედიცინის მუშაკშიც“ - თსუ-ის რექტორატის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №14, რექტორი, პროფესორი რამაზ ხეცურაიანი), გაზეთის სახელწოდება - „მედიცინის მუშაკი“ შეიცვალა ახალი სახელწოდებით - „სამედიცინო გაზეთი“.

